შპს „ენ სი გრუპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი
2021 წ.

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 4
ფულის მოძრაობის ანგარიშგება 5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 6
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 7

შპს „ენ სი გრუპი“

კონსოლიდირებული ფინასური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენ.			
მიმდინარე აქტივები		**31.12.2020 წ.**	**31.12.2019 წ.**	**31.12.2018 წ.**
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში		103066.58	1166.37	253729.70
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში		14744.70	0	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		2488021.64	221844.02	178258.34
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1049460.25	528670.37	533866.89
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		0	0	56164.46
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		0	189962.98	731003.40
საგადასახადო აქტივი		0	112998.20	113615.73
გადახდილი ავანსები		574906.85	254949.97	0
სხვა მოთხოვნები		1617518.33	0	0
სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები		6734.44	6734.44	2962.50
სულ მიმდინარე აქტივები		**5854452.79**	**1316326.35**	**1869601.02**
სასაქონლო-მატერიალური მარაგები				
საქონელი		254.24	339.03	0
ნედლეული და მასალები		609250.68	811588	231652.97
დაუმთავრებელი წარმოება		0	18180.50	0.37
მზა პროდუქცია		1609107.77	1174115.41	2162164.10
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები		3214542.51	618150.41	0
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები		**5433155.20**	**2622373.35**	**2393817.44**
გრძელვადიანი აქტივები				
მიწის ნაკვეთები		2667177.00	3208431.00	200000.00
ნაგებობები		3564.89	4094.57	0
მანქანა-დანადგარები		786632.32	994333.46	950414.73
ხელსაწყოები / ინვენტარი		20502.94	26851.16	22313.04
ოფისის აღჭურვილობა		19005.96	8162.59	3355.54
ავეჯი და სხვა ინვენტარი		14967.85	1137.36	610.17
ტრანსპორტი		217937.55	198129.83	0
წილის სხვა შპს-ში		2396892	1598820.00	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		**6126680.51**	**6039959.97**	**1176693.48**
სულ აქტივები		**17414288.50**	**9978659.67**	**5440111.94**
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		768903.12	1274581.73	1040021.57
მიღებული ავანსები		3576280.43	1358709.74	1869765.27
ვალდებულება პერსონალის მიმართ		19494.80	0	0
მოკლევადიანი სესხები		2490657.36	2024212.43	1451179.85
საგადასახადო ვალდებულებები		391267.69	160841.85	0
საპენსიო გადასახადი		9493.23	22339.28	0
გრძელვადიანი სესხები		2816220.05	957000.00	0
გადასახდელი პროცენტები		10691.49	35101.22	98007.65
სხვა ვალდებულებები		732.01	28.06	255489.79
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**10083740.18**	**5832814.31**	**4714464.13**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გადავადებული მოგების გადასახადი		931399.07	434520.04	110811.87
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**931399.07**	**434520.04**	**110811.87**
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1112001.60	1286700.00	0
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		5287147.65	2424625.32	614835.94
სულ საკუთარი კაპიტალი		**6399149.25**	**3711325.32**	**614835.94**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**17414288.50**	**9978659.67**	**5440111.94**

დირექტორი: ნანა კვანტალიანი

მთავარი ბუღალტერი: თეონა ხატისკაცი

შპს „ენ სი გრუპი“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება

2020 წელი

მუხლის დასახელება	2020 წ.	2019 წ.
შემოსავალი		
შემოსავალი ფართების რეალიზაციიდან	2 652 077.43	3 323 257.18
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	7 689 135.95	4 494 812.37
არასაოპერაციო შემოსავალი	1 141 343.56	15 646.26
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	189 494.53	8 445.45
სულ შემოსავალი	**11 672 051.47**	**7 842 161.26**
ხარჯები		
ძირითადი მასალების დანახარჯები	3 338 552.24	1 536 191.65
რეკლამის ხარჯები	96 307.65	9 325.93
ობიექტებზე მომსახურებების ხარჯები	1 766 496.89	989 468.86
მიწოდების სხვა ხარჯები	3 336.46	310.10
ადმინისტრაციული სამართალდარღვევების (ჯარიმა) ხარჯი	574.00	15 294.50
ბანკის საკომისიო	14 645.10	4 882.66
შრომის ანაზღაურება	1 442 241.94	2 389 998.95
დაზღვევა	6 942.35	3 923.71
ავტო დაზღვევის ხარჯი	962.02	0.00
საოფისე ხარჯები	7 127.82	4 158.77
ავტომობილის ხარჯი	7 594.30	50.85
კომუნიკაციის ხარჯები	4 296.58	0.00
კომუნალური ხარჯები	32 519.38	2 636.57
მივლინების ხარჯი	5 046.00	4 851.15
საკონსულტაციო ხარჯები	0.00	1 694.92
წარმომადგენლობით ხარჯი	22 318.54	907.63
ცვეთა და ამორტიზაცია	302 355.11	260 495.43
სხვადასხვა საერთო ხარჯი	11 386.11	8 388.41
საპროცენტო ხარჯები	221 812.57	157 482.82
ზარალი არასამეწარმეო საქმიანობიდან	338 710.15	15 673.77
სხვა არასამეწარმეო ხარჯები	568 830.95	290 412.54
ძირითადი საშუალების ხარჯი	0.00	12 514.60
სულ ხარჯები	**8 192 056.16**	**5 708 663.82**
მოგება დაბეგვრამდე	**3 479 995.31**	**2 133 497.44**
მოგების გადასახადი	521 999.30	323 708.06
წმინდა მოგება	**2 957 996.01**	**1 809 789.38**

დირექტორი: ნანა კვანტალიანი

მთავარი ბუღალტერი: თეონა ხატისკაცი

თარიღი: 30.09.2021 წ

შპს „ენ სი გრუპი“

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე

მუხლების დასახელება	**2020 წ.**	**2019 წ.**
შემოსავლები:		
შემოსავლები	15345938.00	8117811.00
არასაოპერაციო შემოსავლები	0	0
8190	0	2
ბიუჯეტიდან თანხის დაბრუნება	204654.00	0
სულ შემოსული თანხები	**15550592.00**	**8117813.00**
საოპერაციო ხარჯები:		
სახელფასო ხარჯები	-1106244.80	-1695381.80
საქონელი და მომსახურება	-10827758.00	-4135211.40
საგადასახადო ხარჯი	-1303016.00	-1150800.00
საბანკო მომსახურების ხარჯები	-36363.58	-7519.23
თანხის დაბრუნება	0	-12960.00
საპენსიო შენატანი	-56070.00	-54250.00
სხვა ხარჯები	0	0
სულ გაცემული თანხები	**-13329453.00**	**-7056122.40**
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	**2221139.50**	**1061690.60**
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-662942.27	-2358269.60
წილის შეძენა	-236378.00	-1164000.00
კაპიტალური ხარჯები	0	0
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	1665724.30	533344.00
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	243006.00	19700.00
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-417704.40	-200.00
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	**591705.58**	**-2969425.60**
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
სესხები ფიზიკური და იურიდიული პირებიდან	432410.00	142206.00
სესხები პარტნიორებისგან	357434.71	577278.95
სხვა სესხები (ბანკიდან)	6170812.80	4363295.60
სესხის ძირის დაფარვა	-5012668.40	-3137598.90
სესხის პროცენტის დაფარვა	-250227.33	-231046.37
სესხის გაცემა	-90700.00	0
შემოსავალი გადაფასების სხვაობიდან	21800.85	0
საგარანტიო თანხა	-1649260.50	0
საკურსო სხვაობის გავლენა (გადაფასება)	111165.20	-20574.38
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	**90767.30**	**1693560.90**
ფული პერიოდის დასაწყისში	**751680.76**	**965854.93**
ფული პერიოდის ბოლოს	**3655293.17**	**751680.76**

დირექტორი: ნანა კვანტალიანი

მთავარი ბუღალტერი: თეონა ხატისკაცი

შპს„ენ სი გრუპი“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	**საწესდებო კაპიტალი**	**რეზერვები და დაფინანსება**	**გაუნაწილებელი მოგება**	**სულ**
2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	0	0	614 835.94	**614835.94**
2019 წლის წმინდა მოგება	0	0	1 809 789.38	**1809789.38**
მოგების განაწილება	0	0	0	**0**
კაპიტალის ცვლილება	1286700.00	0	1 809 789.38	**3096489.38**
2019 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	**1286700.00**		**2424625.32**	**3711325.32**
2020 წლის წმინდა მოგება	0	0	2957996.01	**2957996.01**
მოგების განაწილება	0	0	-95473.68	**-95473.68**
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-174698.40	0	2862522.33	**2687823.93**
2020 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	**1112001.60**		**5287147.65**	**6399149.25**

დირექტორი: ნანა კვანტალიანი

მთავარი ბუღალტერი: თეონა ხატისკაცი

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური მოიცავს შპს „ენ სი გრუპი“-სა და მისი შვილობილი კომპანიის შპს „დეკა დეველოპმენტი“-ს ფინანსურ იფორმაციას.
შპს „ენ სი გრუპი“ (შემდგომში კომპანია) დარეგისტრირდა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ 2017 წლის 24 იანვარს და მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი: 405186365**.**
შპს „ენ სი გრუპი“ ფლობს შპს „დეკა დეველოპმენტი“-ს ს/ნ404572663 წილის 50%-ს, რომელიც შეიძინა 2019 წელს..

შპს „ენ სი გრუპი“-ს 100%-იანი წილის მფლობელია **სერგო კვანტალიანი (პ/ნ** 62001015364).

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო, სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო საქმიანობა;

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, გრაფ შულენბურგის ქ., N2, შენობა N1, სართული 3
კომპანიის დირექტორია **ნანა კვანტალიანი (პ/ნ** 62001018694);

კომპანიის მთავარი ბუღალტერია **თეონა ხატისკაცი**.

2. წარდგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდეგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ათასებში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

კომპანიამ შეადგინა საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის პერიოდში, რომელიც წარმოადგენს მსს ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც შეადგენდა:

დასახელება	31დეკემბერი 2020 წელი	31 დეკემბერი 2019 წელი
1 აშშ დოლარი/ლარი	3.2766	2.6766
1 ევრო/ლარი	4.0233	3.0701

2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6766 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.0701 ლარს; 2020 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.2766 ლარი, ერთი ევრო4.0233 ლარი. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	**სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)**
შენობები	30 წელი
მანქანა დანადგარები	10-15 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-7 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავტომობილები	10 წელი
იჯარით აღებული ქონების	იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მოსახურების

კეთილმოწყობა ვადას შორის უმცირესი.

3.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

3.5 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისი თანხა აღიარებულ უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად რომ, ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან. ფინანსური იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების შემდგომი აღრიცხვა, მაგალითად ცვეთის მეთოდი და სასარგებლო მომსახურების ვადა, შეესაბამება კომპანიის მიერ იურიდიულად ფლობილ შესადარის აქტივებს. შესაბამისი ფინანსური იჯარის ვალდებულება მცირდება საიჯარო გადასახდლეებს გამოკლებული საპროცენტო დანახაარჯით, რომელიც აღირიცხება ფინანსურ ხარჯად. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს მუდმივ პროპორციას, საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ და ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც იქნება გაწეული. ყველა სხვა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასააყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალადებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის დაყოფა კატეგორიებად შეესაბამება, იმას თუ, მისგან გამოწვეული შემოსავალი ან ხარჯი აისახება მოგება-ზარალში თუ სხვა სრულ შემოსავალში. ზოგადად, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ საანგარიშგებო პერიოდში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად "ფინანსური ხარჯი", "ფინანსური შემოსავალი" ან სხვა "ფინანსური ხარჯი", გარდა სავაჭრო მოთხოვნების საეჭვო ნაწილისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა არასაოპერაციო ხარჯების სახით.

ა) სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდელებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, აგრეთვე ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე.

ბ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

გ) ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში.

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭროდ გამიზნულ ფინანსურ აქტივებს და აგრეთვე იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას კომპანია აკლასიფიცირებს ამ კატეგორიაში. განმარტების თანახმად, ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ აკმაყოფილების ჰეჯირების აღრიცხვას, მიეკუთვნება ამ კატეგორიას. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც მიიღება წარმოებული ფინანსური აქტივებიდან, რომელიც აქტიურ ბაზარზე განისაზღვრება საბაზრო გარიგებების შედეგად, ეფუძნება რეალურ ღირებულებაში ცვლილებას, ხოლო არააქტიურ ბაზარზე, შეფასების მოდელის გამოყენებას. ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

დ) სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა წარმოშობილი მის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი მიღებულია აქციონერისგან. ამ შემთხვევაში სხვაობა წარმოშობილი რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. საწყისი აღიარების შემდეგ, სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, შექმნას ან წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში იი სავაჭრო და სხვა

ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.8 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე. ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება აქტივევს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.
იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდიში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა. ფინანსური აქტივების გაუფასურება ყოველ საანგარიშგებო პერიოდში რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფასდება გაუფასურების მაჩვენებლებზე. ფინანსური აქტივების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ ერთი ან რამდენიმე შემთხვევის მოხდენის ალბათობა, ინვესტიციის სამომავლო ფულად ნაკადებზე მოახდენს გავლენას. ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისთვის, გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით. სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებულ იქნას გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ შემთხვევასთან, წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ზარალზე იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების თარიღისთვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში. სავაჭროდ გამიზნული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, რეალური ღირებულების ნებისმიერი მატება შემდგომი გაუფასურებით, უნდა აღიარდეს კაპიტალში.

3.9 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა. გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას/ზარალს.

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას. გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება. გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

3.12 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები. შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

• კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;

• კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;

• შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;

• როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში; და ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები• საიმედოდ იქნეს შეფასებული.

1.13 ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

3.14 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიიის ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2020 წელს ხდებოდა შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2019 წ.	შეძენა	გასვლა	ცვეთა	31.12.2020 წ.
მიწის ნაკვეთები	3208431.00	501101.00	-1042355.00	0	2667177.00
ნაგებობები	4094.57	0	0	-529.68	3564.89
მანქანა-დანადგარები	994333.46	137007.96	-85058.90	-259650.20	786632.32
ხელსაწყოები / ინვენტარი	26851.16	406.78	0	-6755.00	20502.94
ოფისის აღჭურვილობა	8162.59	13984.57	0	-3141.20	19005.96
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1137.36	15410.52	0	-1580.03	14967.85
ტრანსპორტი	198129.83	50506.72	0	-30699.00	217937.55
წილი სხვა საზოგადოებაში	1598820.00	798072.00	0	0	2396892.00
სულ გრძელვადიანი აქტივები	**6039959.97**	**1516489.4**	**-1127413.9**	**-302355.11**	**6126680.51**

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.
ნაღდი ფული სალაროში	117811.28	1166.37
ფული საბანკო ანგარიშებზე	3537481.89	750514.39
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**3655293.17**	**751680.76**

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0	189962.98
გადახდილი ავანსები	574906.85	254949.97
საგადასახადო აქტივი		112998.20
სხვა მოთხოვნები	1617518.33	
სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები	6734.44	6734.44
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	**2199159.62**	**564645.59**

7. მარაგები

კომპანიის მარაგების მოძრაობა 2020 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.
საქონელი	254.24	339.03
ნედლეული და მასალები	609250.68	811588.00
დაუმთავრებელი წარმოება	0	18180.50
მზა პროდუქცია	1609107.77	1174115.41
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	3214542.51	618150.41
სულ	**5433155.20**	**2622373.35**

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2020 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.
სავაჭრო ვალდებულებები	768903.12	1274581.73
მიღებული ავანსები	3576280.43	1358709.74
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	19494.80	0
საგადასახადო ვალდებულებები	391267.69	160841.85
სხვა ვალდებულებები	732.01	28.06
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**4756678.05**	**2794161.38**

9. სესხები

კომპანიას საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის გააჩნია შემდეგი სასესხო ვალდებულებები:

დასახელება	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.
მოკლევადიანი სესხები	2490657.36	2024212.43
გადასახდელი პროცენტები	10691.49	35101.22
გრძერლვადიანი სესხები	2816220.05	957000.00
სულ	**5317568.90**	**3016313.65**

10. ამონაგები

ამონაგები 2020 წლის თვის შედგებოდა შემდეგი კომპონენტებისაგან:

დასახელება	31.12.2020 წ	31.12.2019 წ
შემოსავალი ფართების რეალიზაციიდან	2652077.43	3323257.18
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	7689135.95	4494812.37
არასაოპერაციო შემოსავალი	1141343.56	15646.26
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	189494.53	8445.45
სულ	**11672051.47**	**7842161.26**

11. თვითღირებულება

დასახელება	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.
საწყისი მარაგები	2622373.35	2393817.44
მარაგების შესყიდვა	6081373.74	2272115.28
გადამუშავების დანახარჯები	1458712.91	2290599.73
საბოლოო მარაგები	5433155.20	2622373.35
სულ თვითღირებულება	**4729304.80**	**4334159.10**

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

დასახელება	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.
შრომის ანაზღაურება (ადმინისტრაციული)	380 469.32	282 170.36
რეკლამის ხარჯები	96 307.65	9 325.93
მიწოდების სხვა ხარჯები	3 336.46	310.10
ადმინისტრაციული ჯარიმა	574.00	15 294.50
ბანკის საკომისიო	14 645.10	4 882.66
დაზღვევა	7 904.37	3 923.71
საოფისე ხარჯები	7 127.82	4 158.77
კომუნიკაციის ხარჯები	4 296.58	0
კომუნალური ხარჯები	32 519.38	2 636.57
ავტომობილის ხარჯი	7 594.30	50.85
მივლინების ხარჯი	5 046.00	4 851.15
საკონსულტაციო ხარჯები	0	1 694.92
წარმომადგენლობით ხარჯი	22 318.54	907.63
ცვეთა და ამორტიზაცია	302 355.11	260 495.43
სხვადასხვა საერთო ხარჯი	11 386.11	8 388.41
საპროცენტო ხარჯები	221 812.57	157 482.82
ზარალი არასამეწარმეო საქმიანობიდან	338 710.15	15 673.77
სხვა არასამეწარმეო ხარჯები	568 830.95	290 412.54
ძირითადი საშუალების ხარჯი	0	12 514.60
სულ ხარჯები	**2025234.41**	**1075174.72**

13. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

• საკრედიტო რისკი
• ლიკვიდურობის რისკი
• საბაზრო რისკი:

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ფინანსური ვალდებულებები

დასახელება	გრძელვადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები
2020 წლის დასაწყისში	1391520.04	4875814.31
სესხები	2816220.05	2490657.36
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	931399.07	4776862.77
2020 წლის ბოლოს	3747619.12	7267520.13

ფინანსური აქტივები

დასახელება	გრძელვადიანი აქტივები	მოკლევადიანი აქტივები
2020 წლის დასაწყისში		1316326.35
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		3655293.17
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		2192425.18
2020 წლის ბოლოს		5854452.79

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშრებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.
კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უკეთდება ანალიზი სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდისა და მიტანის პირობებს შესთავაზებენ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვილების გამო.
საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტიან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება, რადგან ყველა მიღებულ სესხზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. 2020 წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აშშ დოლარსა და ევროზე მოქმედებდა შემდეგი გაცვლითი კურსი:

დასახელება	31 დეკემბერი 2020 წელი	31 დეკემბერი 2019 წელი
1 აშშ დოლარი/ლარი	3.2766	2.6766
1 ევრო/ლარი	4.0233	3.0701

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

31 დეკემბერი 2020 წელი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	ლარი/აშშ	ლარი/აშშ	ლარი/ევრო	ლარი/ევრო
	დოლარი +20%	დოლარი -20%	ევრო +20%	ევრო -20%
მოგება/ზარალი	0	0	0	0

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა;

14. პირობითი ვალდებულება

პირობითი ვალდებულებები და მოთხოვნები კომპანიას არ გააჩნია

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც გავლენას იქონიებდნენ ფინანსურ ანგარიშგებაზე.